აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 82

11 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულების დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №59 განკარგულებით დამტკიცებულ ,,ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა", ,,ბ", ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები დამტკიცებულ: - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმის (ფორმა 1-07.30.01), საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმის (ფორმა 1-07.31.01), საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმის (ფორმა 1-07.32.01), საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმის (ფორმა 1-07.33.01) ფორმებში შეტანილი იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული ნიმუშების მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია